ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37211041**
თარიღი:**14/04/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული

საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 119-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს – საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №23 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 15 აპრილს 12:00 საათზე (მის: ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი